საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 27
26/12/2016

27-06-4-201612262122

დადგენილება № 27

2016 წლის 23დეკემბერი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისშესახებ“

საქართველოს ორგანულიკანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 91-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1.დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ბალანსი 1-ლი მუხლის თანახმად;

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები მე-2 და მე–3 მუხლების თანახმად.

გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელები მე-4 მუხლის თანახმად;

დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;

ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;

ვ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;

ზ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;

თ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;

ი) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი მე-10 მუხლის თანახმად;

კ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მე-11 მუხლის თანახმად;

ლ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა მე-12 მუხლის თანახმად;

3.განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია მე-13 მუხლის თანახმად;

ბ) განათლება მე-14 მუხლის თანახმად;

დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის კულტურა, რელიგია და ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები მე-15 მუხლისთანახმად;

ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა მე-16 მუხლის თანახმად;

ვ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელები მე-17 მუხლის თანახმად;

4. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილება;

5. დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო